

დავით ზურაბაშვილი
ტერორიზმი – ეს აზროვნების
სახეა

David Zurabashvili
Terrorism - A Mode of Thinking

Давид Зурабашвили
**Терроризм - это образ
мышления**

2002

ავტორი მადლობას უხდის თანადგომისათვის
კოტ დ'ივუარის საპატიო გენერალურ კონსულს
ბატონ ერმილე თორთლაძეს წიგნის პირველი გამოცემის
დაფინანსებისათვის

Автор выражает благодарность Почётному
Генеральному Консулу КОТ Д' ИВУАРА
Г-ну Эрмиле Тортладзе за финансирование
первого издания

Author expresses his gratitude to the Honorary
General Consul of Cote d'Ivoire Mr. Ermile Tortladze
for sponsoring first edition

David Zurabashvili, M. D., Dr. of Medical Science

Director on EDUCATION, CHAILD
PSYCHIATRY,
CONTACTS WITH NGO
M.ASATIANI RESEARCH
INSTITUTE OF PSYCHIATRY
MINISTER OF LABOUR, HEALTH
AND SOCIAL AFFAIRS OF
GEORGIA

President GEORGIAN INTERNATIONAL
PSYCHICAL CARE
ASSOCIATION OF CHILDREN
AND YOUNG GENERATION

10, Asatiani str., 380077
TBILISI, GEORGIA
E-mail:david_zur@email.com

УДК 323.28
8971

ISBN 99928-996-0-3

Ermile Tortladze
Honorary General Consul of
Cote d' Ivoire in Georgia,
President of Association
of Honorary Consuls in
Georgia

The book of David Zurabashvili “ Terrorism: A Mode of Thinking” represents socially oriented monograph dedicated to psychological aspects of terrorism shaping.

Antisocial coming into being of a terrorist personality characteristic features, psychosocial principles of forming anti-public views, convictions, social installation and etc. leading to breaching of moral category are viewed and analyzed in details in this book.

Reasons of terrorist activities and motives of specific terrorist operations are evaluated by the author as common and individual. Roots of terrorist activities as a whole belong to top level of actual reality: social, economic, psychological phenomena and processes peculiar to the given concrete society. Direct motives of a terrorist act should be searched in individual peculiarities of a terrorist personality himself and a situation in which he is.

A long time has passed since analyzing of these factors. At present time comes of their legal control.

“Therefore genuine world represents fruit of justice, moral virtue and juridical guarantee ” said in the epistle of His Holiness the Pope Joann Paul II to the World Day of Peace (January 1, 2002, section 3).

Leitmotif of David Zurabashvili’s works is the necessity of merging in the fighting with terrorism. Terrorism does not acknowledge any borders or countries. States and regions should be united in fight with terrorism.

Association of Honorary Consuls in Georgia promotes the aforesaid. The association unifies the following Consuls:

Irena Jikia - Honorary Consul of the Republic of Lithuania in Georgia

Regina Yakobidze - Honorary Consul of the Republic of Latvia in Georgia

Mariam Bagrationi - Honorary Consul of the Kingdom of Spain

Eva Berger - Honorary Consul of the Republic of Austria

Esben Emborg - Honorary Consul of the Kingdom of Denmark

Ermile Tortladze - Honorary Consul of the Republic of Cote d’Ivoire in Georgia

Consular services cannot issue only from interests of people official representatives of which they represent. Equally they must protect rights and interests of inhabitants of the country where they are located.

Organic operations allow at national level to create specialized institutions for studying and prevention of criminal terrorist activities, to reveal its fundamentals and reasons and to formulate principles of wide-ranging international measures which will assist to answer the questions: what kind of people, what specific qualities they have, and what drives them to accomplish an act of terrorism.

Any conduct – is a social. There cannot be any human action beyond society. Therefore, the author shifts center of the problem to the origin of unlawful behavior – on motivation, as well as on a social instability amongst young people, having time to become adult in the period of prolonged civil cataclysm, during of which political and religious ideals lost their prestige in young people's opinion.

Эрмиле Тортладзе
Почетный Генеральный Консул
КОТ Д'ИВУАРА в Грузии

Книга Давида Зурабашвили “Терроризм – это образ мышления” представляет собой социально ориентированную монографию, посвященную психологическим аспектам формирования терроризма.

В ней рассматриваются и подробно анализируются характерологические особенности антиобщественного становления личности террориста, психо-социальные основы формирования антиобщественных взглядов, убеждений, социальной установки и т.д., которые приводят к нарушениям моральных категорий.

Причины террористической деятельности и причины конкретных террористических действий оцениваются автором как общее и отдельное. Причины террористической деятельности в целом относятся к высокому уровню реальной действительности: социальным, экономическим, психологическим явлениям и процессам, свойственным данному конкретному обществу. Непосредственные причины террористического акта следует искать в индивидуальных особенностях личности самого террориста и ситуации, в которой он находится.

Давно прошло время анализа этих факторов, сейчас наступило время их юридического контроля.

“Поэтому истинный мир является плодом справедливости, нравственной добродетели и юридического ружательства ...” сказано в послании Его Святеишества Папы Иоанна Павла Второго ко Всемирному дню Мира (1 января 2002 года, параграф 3).

Лейтмотивом работы Давида Зурабашвили является необходимость объединения в борьбе с терроризмом. Терроризм не признает границ и государств. В борьбе с терроризмом должны объединяться страны и регионы.

Этому способствует ассоциация почетных консулов Грузии.

Консульские службы не могут исходить только из интересов людей, официальными представителями которых они являются. В равной степени они должны оберегать права и интересы жителей страны, в которой они расположены.

Координированные действия позволят на национальном уровне создать специализированные учреждения по изучению и предупреждению преступной террористической деятельности, выявят ее основы и причины и сформулируют принципы широкомасштабных международных мероприятий, которые помогут ответить на вопросы: что за люди, какими специфическими

качествами они обладают, и что толкает их на совершение террористического акта.

Любое поведение - социально. Не может быть человеческого поступка вне общества. Поэтому, центр проблемы переносится автором на генез противоправного поведения - на мотивацию, а также на социальную нестабильность среди молодежи, успевшей повзрослеть в период длительных гражданских катаклизмов, во время которых политические и религиозные идеалы потеряли свой авторитет в глазах молодежи.

The terrorism is universal danger!

The world is threatened with the international terrorism and it, unfortunately, became obvious only at September 11 the last year. Only at September 11 has understood the world, that against this illness of mankind the incorporated efforts, the co-coordinated actions are necessary. Events of September 11 have carried out reassessment of values, the mankind appeared face to face with the new enemy. For mistakes there is no time.

That, during decades, was actual for the population of this or that region which regularly was exposed to terror and violence, today each separate

center of terror should get in an epicenter of the world community's attention.

The terrorism does not recognize borders. It has accepted the international value. Will not pass a day that mass media have not informed about violence in this or that region of the world. It is impossible to observe quietly and inactively as innocent people in different corners of our planet perish.

The violence, notwithstanding what the noble purpose was pursued with it, is unacceptable both for the modern world community, and for each person. Terrorism is so barbarous means, that its justification is impossible even by the greatest purposes.

I call everybody, to be united in struggle against this global illness, as it is impossible to win terrorism with efforts of one lonely country.

Rivka Kohen

Ambassador of Israel in Georgia

ტერორიზმის საფრთხე უნივერსალურია!

მსოფლიოს საერთაშორისო ტერორიზმი ემუქრება და ეს, სამწუხაროდ, თვალსაჩინო მხოლოდ გასული წლის 11 სექტემბერს გახდა. მხოლოდ 11 სექტემბერს მიხვდა მსოფლიო, რომ კაცობრიობის ამ სენის წინააღმდეგ საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა, კოორდინირებული მოქმედება. 11 სექტემბრის მოვლენამ ხელახლა მოახდინა ღირებულებათა გადაფასება,

კაცობრიობა ახალი მტრის წინაშე პირისპირ აღმოჩნდა. შეცდომების დაშვების დრო აღარ არის.

ის რაც ათწლეულების მანძილზე აქტუალური იყო ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობისათვის, რომელიც სისტემატურად განიცდიდა ტერორსა და ძალადობას, დღეს თითოეული ცალკეული ტერორის კერა მსოფლიოს ყურადღების ეპიცენტრში უნდა მოექცეს.

ტერორიზმი არ ცნობს საზღვრებს. მან საერთაშორისო განზომილება მიიღო. დღე არ გავა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით არ გავრცელდეს ინფორმაცია მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში მომხდარი ძალადობის შესახებ. შეუძლებელია მშვიდად და უმოქმედოდ უყურო ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეში როგორ იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები.

ძალადობა, რა კეთილშობილურ მიზანსაც არ უნდა ისახავდეს იგი, მიუღებელია როგორც თანამედროვე საერთაშორისო თანამეგობრობისათვის, ისე თითოეული ადამიანისათვის. ტერორიზმი არის იმდენად ბარბაროსული საშუალება, რომ მისი გამართლება თვით უღიადესი მიზნითაც კი ვერ ხერხდება.

მოუწოდებ ყველას, გაერთიანდეს ამ გლობალური სენის წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგან შეუძლებელია ტერორიზმის დამარცხება მხოლოდ ცალკეული ქვეყნების ძალისხმევით.

რიკა კოჭენი

ისრაელის ელჩი საქართველოში

**EUROPEAN UNION
DELEGATION OF THE
EUROPEAN COMMISSION
FOR GEORGIA AND ARMENIA**

The issue addressed in the book of Mr. David Zurabashvili “Terrorism: A Mode of Thinking “, is very interesting and deserves to be made available in different languages.

**UN
VOLUNTEERS**

MEMORANDUM

We had the opportunity to read the “Terrorism: A Mode of Thinking” with a great pleasure and in our opinion it is one of the extremely essential and urgent issues of XXI Century and which need a support.

As far as we know, the literature on terrorism is topical, while in Georgia this is the first serious attempt from the scientific point of view to characterize the personality and mode of thinking of the terrorism. Having this in mind we would like to assure you with full confidence and determination that such kind of publication need a particular positive attention.

Best regards,
Pollock Ndonodji
UNV/UNDP community
facilitator and coordinator

BRITISH EMBASSY

Tbilisi

I appreciate the support which the Association is giving to research and discussion in Georgia with the aim of making people better informed about this phenomenon.

Deborah Barnes Jones

British Ambassador

ПОСОЛ

РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ

Терроризм представляет собой одно из опаснейших явлений, с которым когда-либо сталкивалось человечество. Россия также пострадала от этого всемирного зла и мы полностью поддерживаем усилия Консульской ассоциации почетных консулов в Грузии, направленные на борьбу с терроризмом.

В книге Д. Зурабашвили “Терроризм – это образ мышления” содержится очень интересная трактовка “чумы” XX-XXI веков и образа мышления террориста.

В. Гудев

***Remarks by
David Zurabashvili at the 18th National
Congress at General Assembly of ANDECO
and Consular Forum of the Americas
Sponsored by ANDECO and FICAC
(Cancun, Mexico, 2001)***

Dear Consuls, Ladies and Gentlemen,

It's a great honor for me to address you, distinguish consuls in this audience, in the country from where the great civilization starts.

Let me emphasize and highlight once more the great importance of the initiative of establishing the permanent committee on children's issues, which will coordinate the work of consuls all over the world and thus render them the required assistance.

The 21st century has begun with unprecedented tragic disasters: the United States, Afghanistan, Israel, the Balkans and the Caucasus - actually it's impossible to list all the hot spots currently existing in the world.

Adults are fighting there, children hopefully are not for the time being involved. But they will grow up, they will become adults and actually it is impossible to predict their behavior when as adults.

As a consulting expert of the Association of Honorary Consuls of Georgia, as a Director responsible for the issues connected with children at the M. Asatiani Research Institute of Psychiatry under the Labor, Health and Social Security Ministry of Georgia, at last as a President of the Georgian International Psychical Care Association of Children and Young Generation I would like to assure you with full confidence that this idea of founding a committee on children will consolidate and thus coordinate the two extremely essential problems of

the 21st century - on one hand it will preserve the cultural originality and ethnic traditions of children of each nation and on the other hand it will implement the feelings of brotherhood, mutual trust and love in each child and thus it will avert the possibility to grow as enemies.

I do not mean love to God as each child is brought up in his native religion. What I mean is the God of love, the God that has a great worth for all the nations, races and religions. Even a hungry child who has enjoyed the Disney Land will never bomb this oasis of his childhood recollections. A child who has walked on Unter der Linden Avenue in Berlin will never lift his hand against the friend whom he came to meet in his childhood.

The coordinated work of the honorary consuls of various countries will allow the volunteer missionaries to accomplish successfully the following tasks:

- to pursue a correct tactic in working with children at the hot spots in the world

- to recruit correctly local personnel for whom it is easier to sow the ideas of peace and friendship in a child's soul

- to open local training centers

- to prepare specialized web-site programs so that children all over the world would be able to meet and become friends by correspondence

- to develop recommendations on methods, manuals and instructions

Eventually, with the joint efforts we could request scenario writers and cinema producers of the worlds leading film studios to make special sketches based on the ideas of love, fraternity and friendship between children of different countries and ethnic groups.

დავით ბურაბაშვილი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ტერორიზმი –
ეს ამროვნების სახეა

ტერორიზმი - ეს აზროვნების სახეა

ტერორიზმთან ერთიანი ბრძოლის საკითხი დაყენებულ იქნა კონსულთა საერთაშორისო ასამბლეაზე, რომელიც შედგა მექსიკაში, 2001 წლის ბოლოს.

ჩვენ არ დაგვისახავს მიზნად რაიმე ძალოვანი ან ადმინისტრაციულ-იძულებითი რეკომენდაციები. საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, თუ როგორ შეიძლება შერბილდეს ის უზარმაზარი დისპროპორციები, რომლებიც ამჟამად არსებობს მსოფლიო ცივილიზაციის ცალკეულ სფეროებს შორის (კულტურა, ყოფა, წეს-ჩვეულებები, მსოფლმხედველობა, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები და სხვა). ჩვენი აზრით ეს წინააღმდეგობანი წარმოადგენს ტერორიზმის წარმოშობის მნიშვნელოვან წყაროს.

ტერორიზმი - ეს არ არის მხოლოდ ქმედება, რომელიც ძალადობის აქტით მთავრდება. ტერორიზმი - ეს პირველ რიგში აზროვნების ფორმაა, რომლის ნაყოფიც არის ანტისაზოგადობრივი ხასიათის ქმედებანი.

შეხედულებების, რწმენის და პიროვნული პოზიციის ფორმირება ბავშვობიდანვე იწყება, არ შეიძლება ამ დროის გაშვება.]

ჩვენ თავს უფლებას ვაძლევთ, ოდნავ შევცვალოთ დიდი ამერიკელი მწერლის ერნსტ ჰემინგუეის სიტყვები: “ვის უხმობს ტერორიზმის ზარი? ის უხმობს ჩვენს შვილებს!”

ლიტერატურული მონაცემები, რომელიც განიხილავს ცალკეულ ტერორისტულად განწყობილ პიროვნებათა გამოჩენას, მათ შემდგომ ფორმირებას ისეთ განცალკევებულ მცირე ჯგუფებად, რომელთაც აქვთ უნარი შემდგომ მსხვილ ტერორისტულ ორგანიზაციებად გაერთიანებისა, ატარებს ძირითადად ფრაგმენტარულ ხასიათს და უფრო ხშირად შემოიფარგლება ან მხოლოდ ტერორისტული აქტის კონსტატაციით ან ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის ისტორიული მხარის განხილვით.

ამ საკითხზე მომუშავე სპეციალისტთა უმრავლესობა სამწუხაროდ არასათანადო ყურადღებას უთმობს შემდეგ მნიშვნელოვან მომენტს: ანტისაზოგადოებრივი ქცევის თითოეულ ფორმას ან ანტისაზოგადოებრივი ტერორისტული საქმიანობის თითოეულ სახეობას აქვს თავისი წარმოშობის “კრიტიკული” პერიოდი, განვითარებისა და ფორმირების თავისი განსაზღვრული ტემპები, აგრეთვე გარდაქმნისა და გართულების თავისებური ეტაპები. ყოველივე ზემოაღნიშნული საბოლოოდ წარმოადგენს “ტერორისტული საქმიანობის განვითარების” ძირითად ფაქტორს.

ტერორიზმის წარმოშობის და განვითარების, აგრეთვე ჩვენს დროში ტერორისტული აქტების რაოდენობის მკვეთრი ზრდის მიზეზების დასადგენად აუცილებელია მრავალფეროვანი სისტემური მიდგომა ინდივიდუალური და ჯგუფური (მასობრივი) აგრესიის ანტისაზოგადოებრივი ქცევის ფორმების სოციალურ-ფსიქოლოგიური კრიტერიუმების გამოყენებით.

მხოლოდ ინტეგრირებული ანალიზი გვაძლევს საშუალებას გამოვაკლინოთ ტერორისტული საქმიანობის განვითარების ცალკეული ეტაპები და მკვეთრად განსაზღვრული მიზეზები, განვსაზღვროთ პიროვნული რეაგირების ანომალიურად აგრესიული ფორმები, რეალურად არსებულ სოციალურ სიტუაციასა და მისი აგრესიულ-ემოციური შეფასებას შორის დამოკიდებულების ხასიათი.

ამ ასპექტში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი სოციალურ-ფსიქოლოგიური წინაპირობები: მოტივაცია, მოთხოვნილება, მიზანი, განზრახვა, განწყობა. მათი გარკვეული თანხვედრა იწვევს ერთის მხრივ ქმედებათა არასწორ, ან არადეკვატურ განხორციელებას (ქმედებითი აქტები), მეორეს მხრივ მოქმედი პირის ან მოქმედ პირთა ჯგუფის ანომალიურ დაკმაყოფილებას, ფსიქიკურ გაჯერებას. ნებისმიერი საქციელის საბოლოო ეტაპია შესაბამისი აქტუალიზირებული მოთხოვნილების მოხსნა.

მორალური, ნებითი, ემოციური და ინტელექტუალური მხარეების გამოვლინება კონკრეტულად არსებული სოციალური გარემოსა და ქმედებათა ფონზე შეიძლება გარკვეულ სიტუაციაში განვითარდეს ანომალური გზით აფექტური რეაქციების ფორმით, თვით ტერორისტულ აქტებამდე კი.

ამას ხელს უწყობს სოციალური იზოლაცია, აფილაციური კავშირების დაკარგვა, სოციალური ადაპტაციის დაქვეითება და ა.შ., აგრეთვე გარემო და მისი სოციალურ მიმართულობის ვექტორი. ამის შედეგად, უფრო სწორედ მოთხოვნილებათა ძველი დონის რეალურად ახალ სიტუაციასთან ანომალური შერწყმის შედეგად, ცალკეულ შემთხვევებში, წარმოიქმნება დამატებითი ქცევის განწყობა. მისი მიმართულება განისაზღვრება ქმედებათა მოჩვენებითი მიზანშეწონილობით, მორალურ, სოციალურ, მატერიალურ და სოციალურ კულტურაზე აღზრდა ყოველთვის ხორციელდება მხოლოდ ქცევის ნებით დონეზე.

ამგვარად, ტერორისტულ ქმედებათა და ანომალურ პიროვნულ რეაგირებათა ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს მრავალ ფაქტორთა ჯამი.

ტერორისტის პიროვნების ფორმირება

მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტული აქტები მეტად მრავალფეროვანია როგორც საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით, ასევე ფსიქოლოგიური, სოციალური და იურიდიული ნიშან-თვისებებით, მათ აქვთ საერთო ნიშნები.

საერთო ნიშნები მდგომარეობს ტერორიზმის წარმოშობის, მისი განვითარების მიზეზებისა და ისტორიულ საფუძვლებში. ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ და გავაანალიზოთ მისი ფორმირების კონკრეტული მიზეზები და პირობები.

ცნობილია, რომ საკანონმდებლო ნორმები იცავენ ადამიანთა სოციალურ ინტერესებს, ასახავენ მათ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა მოთხოვნილებებს. ამიტომ ნებისმიერი ტერორისტული აქტის სოციალური ბუნება ვლინდება, პირველ რიგში, მათ შედეგებში – იმ ზიანში, რასაც ეს აქტები აყენებენ საზოგადოებრივ ინტერესებს. ეს ზიანი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მხოლოდ ეკონომიკური ზარალი, მიყენებული ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის ან ერთი პიროვნების მიმართ. ისინი უზარმაზარ მორალურ ზარალს აყენებენ მთლიანად საზოგადოებას.

ტერორისტული აქტი ყალიბდება ერთმანეთთან რთულად ურთიერთქმედი სუბიექტური და ობიექტური პირობების კომპლექსით. ამასთან, სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ამ პირობათა შინაარსი და ურთიერთქმედება არაერთნაირია.

ქცევათა მექანიზმის შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სუბიექტური ხასიათის საკითხებს, რომელთაგან ძირითადია ინტერესები, მოთხოვნილებები, მოტივები, მიზნები და მისწრაფებანი, ვინაიდან ობიექტური საზოგადოებრივი პროცესები ვლინდება მხოლოდ ადამიანის ცნობიერებითა და ქცევებით.

შედის რა ურთიერთობაში გარშემომყოფებთან, ადამიანი ითვისებს ქცევის ნორმებს, ზნეობრივ, სამართლებრივ ცნებებსა

და წარმოდგენებს, აგრეთვე სოციალურ და კულტურულ ფასეულობებს. შედეგად ისახება ახალი მოთხოვნილებები, ინტერესები და მისწრაფებები.

პიროვნების ფორმირების ბიოლოგიური და სოციალური პროცესი ხელს უწყობს მის მაქსიმალურ შეგუებას მიკრო და მაკროგარემოსთან. ამაში იგულისხმება არა პასიური დამოკიდებულება გარემოზე, არამედ თავისი შესაძლებლობების აქტიური ათვისება და გამოყენება პიროვნებისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ.

მიუხედავად პიროვნების ფორმირების გზების შინაგანი ურთიერთშინააღმდეგობრივობისა, პოზიტიური განვითარების შემთხვევაში, პიროვნებასა და გარემოს შორის უთანხმოებისა და დაპირისპირებულობის ნებისმიერი ელემენტები (ისინი განპირობებულია ადამიანის ავტონომიურობითა და დამოუკიდებლობით) თანდათან მცირდება და მინიმალური ხდება. შედეგად ისინი დებულობენ ისეთ ფორმას, რომელიც არ უშლის ხელს ადამიანის აქტიურ მოღვაწეობას, მის ურთიერთკავშირს საზოგადოებასთან.

პიროვნული უარყოფითი ზნეობრივი ფორმირების შემთხვევაში წარმოიქმნება წანააღმდეგობა პიროვნების თვისებებსა და გარემო სინამდვილის მოთხოვნილებებს შორის. ეს წინააღმდეგობანი პირველ რიგში მიეკუთვნება ისეთ კატეგორიებს, როგორცაა მოთხოვნილებანი და ინტერესები, ზნეობრივი ნორმები, წარმოდგენანი სოციალურ ურთიერთობებზე და ა.შ. შედეგად ირღვევა ქცევის მიღებული სტერეოტიპები.

პიროვნების ზნეობრივი ჩამოყალიბების ძირითადი წყაროა თვით პიროვნება, მცირე სოციალური ჯგუფები, სადაც იმყოფება ეს პიროვნება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და სხვა სახელმწიფო არხების პოლიტიკური, კულტურული, იდეოლოგიური და აღმზრდელობითი ზემოქმედება. არ არსებობს ადამიანთა კილექტივის ცხოვრების ისეთი მხარე, რომელიც ნეიტრალური იქნებოდა პიროვნების ფორმირების პროცესში.

პიროვნების არასასურველი ფორმირების პროცესში ზნეობრივ ფასეულობათა სამართლებრივი წარმოდგენები, მოთხოვნილებათა და ძირითადი ინტერესების სისტემა ეწინააღმდეგება მიღებულ საზოგადოებრივ ნორმებს, წარმოდგენებს და ფასეულობებს. ამის შედეგად პიროვნება იძენს ანტისაზოგადოებრივ ორიენტაციას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოება, რომ პიროვნება ფორმირდება არა მხოლოდ საზოგადოების ზემოქმედებით მთლიანად, არამედ იმ მცირე სოციალური ჯგუფების გავლენითაც, რომელშიც ის იმყოფება. მცირე სოციალური ჯგუფები იკავებენ შუალედურ მდგომარეობას ინდივიდსა და საზოგადოებას შორის სოციალური ცნობიერების, ქცევის, ფასეულობათა სისტემის, შეხედულებათა და ტრადიციების მიხედვით. ისინი წარმოადგენენ თითქოს და გარდამავალ რგოლს მათ შორის. ცნობილია, რომ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი ხშირად რეალიზდება მცირე ჯგუფებში. დემოგრაფიული ცვლილებები აგრეთვე ეხება მცირე ჯგუფებს, ამასთან მათ შესაძლოა ჰქონდეთ არა მხოლოდ პერსონალური, არამედ სოციალური ხასიათიც.

მცირე სოციალური ჯგუფების შედარებით დამოუკიდებლობა იწვევს იმას, რომ მათში თანდათან ყალიბდება ქცევის საკუთარი ნორმები და განმტკიცდება საკუთარი ფასეულობანი, რომელნიც ხშირად არ შეესაბამება სახელმწიფოს მიერ სანქცირებულ ნორმებს და ფასეულობებს.

ერთის მხრივ ტერორისტული აქტის მიზეზები უნდა განვიხილოთ მთლიანად საზოგადოების დონეზე, მეორეს მხრივ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მიზეზი შეიძლება იყოს ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიის ნარჩენი, რომელიც წარმოიშვება სხვადასხვა სოციალურ ფორმირებათა შორის დისპროპორციისა და წინააღმდეგობათა ფონზე. ამგვარად, ტერორისტული აქტები წარმოადგენს, პირველ რიგში, მოტივაციისა და გადაწყვეტილების მიღების ინდივიდუალური ფსიქოლოგიური პროცესის ზოგირთი რგოლის დეფორმაციის

შედეგს (მოთხოვნები, ინტერესები, მიზნები, მათი მიღწევის საშუალებანი და ა.შ.).

ტერორისტული აქტის ფსიქოლოგიურ ბაზას წარმოადგენს ობიექტური სინამდვილის გარემო ფაქტორებსა და იმ შინაგან ფსიქოლოგიურ პროცესებს შორის და არაადეკვატური ურთიერთობა და კავშირი, რომლებიც განსაზღვრავენ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას და აკონტროლებენ და წარმართავენ მის შესრულებას.

ამიტომ, ტერორისტული აქტის ინდივიდუალური მიზეზების შეფასებისას, უმრავლეს შემთხვევაში უკეთესია გამოყენებულ იქნას დანაშაულის სისხლის სამართლებრივ ცნებებთან ერთად დანაშაულებრივი ქცევის უფრო ფართო ცნება.

დანაშაულებრივი ცნება წარმოადგენს თავისებურ პროცესს, რომელიც განფენილია როგორც სივრცეში, ასევე დროში. იგი მოიცავს არა მხოლოდ ქმედებას, რომელიც ცვლის გარემოს, არამედ იმ ფსიქოლოგიურ პროცესებს, რომელნიც წინ უსწრებენ და განსაზღვრავენ არასამართლებრივი ქმედების გენეზს. ძირითადად ტერორისტული აქტის მექანიზმი შედგება შემდეგი სამი ძირითადი ნაწილისაგან: მოტივაცია, დანაშაულებრივი ქმედების დაგეგმვა და მისი შესრულება, რასაც მოჰყვება საზოგადოებრივად საშიში შედეგები.

ფსიქოპათოლოგიური თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანია სწორედ პირველი რგოლი, რომელშიც შედის ტერორისტის მოთხოვნები, მისი მიზნები და ინტერესები. ურთიერთქმედებს რა ფასეულობათა ორიენტაციის სისტემასთან, ეს რგოლი ბადებს ტერორისტული საქმიანობის მოტივს.

ამიტომ, ტერორისტის პიროვნების ფორმირების პროცესი არ უნდა იყოს მხოლოდ იურისპრუდენციის, სამართლისა და კრიმინოლოგიის შესწავლის საგანი. ეს საკითხები შესწავლილ უნდა იქნეს ფსიქოპათოლოგიის, პათო-ფსიქოლოგიის, პათოსოციოლოგიის და ადამიანის პიროვნების

შესახებ სხვა მეცნიერებათა ასპექტში მომუშავე სპეციალისტების მიერაც.

ტერორისტული აქტის პროცესი მოიცავს სხვადასხვა ემოციურ დონეებს, რომელნიც ასახავენ ტერორისტის ცნობიერებასა და ნებას. ტერორისტის ნება, ცნობიერება და ემოციები მიმართულია ანტისაზოგადოებრივი მიზნების მიღწევისაკენ. მათი შინაარსი ეწინააღმდეგება თანამედროვე საზოგადოებაში მიღებულ კანონებს. თავდაპირველად ყალიბდება საექვო-ზნეობრივი მიმართულების ინტერესები. შემდგომში მათ მიეყვართ აშკარად ანტისაზოგადოებრივი სურვილების წარმოშობამდე, რომელნიც ფსიქოლოგიური ფიქსირების შემდეგ ხორციელდება დანაშაულებრივი აქტის ფორმით.

ამგვარად, ტერორისტული ქცევის თავისებურებათა მრავალსახოვანი ანალიზი უნდა გატარდეს შემდეგ ასპექტებში. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით აუცილებელია ტერორისტის პიროვნების თვისებათა და იმ სოციალურ გარემოებათა გახსნა, რომელნიც ქმნიან ტერორისტული აქტის ჩადენის ხელშემწყობ პირობებს და მიზნებს.

პრაქტიკული თვალსაზრისით აუცილებელია შემუშავდეს ზომები, რომელთაც შეუძლიათ თავიდან აგვაცილონ დანაშაული, შეცვალონ ტერორისტის პიროვნების მიმართულება. უნდა გვახსოვდეს, რომ ანტისაზოგადოებრივი ქმედება ყალიბდება ფსიქოლოგიური პროცესის სხვადასხვა რგოლებში წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების თანდათანობით განვითარების საფუძველზე.

წინააღმდეგობანი ზნეობრივ, სამართლებრივ და სხვა სოციალურ ფასეულობათა სისტემაში შეიძლება გამომჟღავნდეს ზოგად მოვლენებში. ისინი შეიძლება აღმოჩნდეს დამახასიათებელი ერთი პირისათვის ან გავრცელდეს საზოგადოების გარკვეულ ფენებში (აღადმიანთა ჯგუფი). მათ ხელს უწყობს მკვნე ტრადიციები და ა.შ. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იქმნება სოციალურ-ფსიქოლოგიური დაპირისპირებულობა, ერთის მხრივ ჩვევებსა და ტრადიციებს

და მეორეს მხრივ მთლიანად ცივილიზაციის ნორმებს შორის. არ უნდა დავივიწყოთ პიროვნებასა და კონკრეტულ რეალობას, პიროვნების წარმოსახვით სინამდვილესა და კონკრეტულ რეალობას შორის მუდმივად არსებულ უმნიშვნელოვანეს წინააღმდეგობის შესახებ. ზემოთქმულის ანომალური, ჰიპერტროფირებული ფორმა ნათლად ჩანს ტერორისტული აქციის მაგალითზე, სადაც წინა პლანზე გამოდის ცხოვრების ობიექტური მოთხოვნისაგან მოწყვეტა.

იმ ფსიქოლოგიური მექანიზმის ანალიზი, რომელიც საფუძვლად უდევს ტერორისტულ აქტებს, გვაძლევს რეალურ შესაძლებლობას თავიდან ავიცილოთ ტრაგიკული მოვლენები.

ნებისმიერი ტერორისტული აქტი ჩვეულებრივ იწყება არა მწვავე კონფლიქტებიდან და წინააღმდეგობებიდან, არამედ პოზიციების, ქცევის ნორმების, მოთხოვნილებების, შესაძლებლობების სფეროში უმნიშვნელო განსხვავებისაგან. მრავალ შემთხვევაში არსებობს შესაძლებლობა გამოავლინოთ, შევამციროთ და დროულად აღკვეთოთ ეს განსხვავებანი. თუ ეს არ ხერხდება, უკიდურეს შემთხვევაში, ხელი შევუშალოთ მის განვითარებას ან გარდაქმნას მწვავე, გადაუწყვეტ წინააღმდეგობად, რასაც მიეყავართ დანაშაულებრივ ტერორისტულ ქმედებამდე.

გარეშე მოვლენები, ჩვეულებრივ ფასდება შემდეგი პიროვნული ფაქტორების საფუძველზე: მოთხოვნილებანი, ინტერესები, ფასეულობითი ორიენტაციები, სოციალური განწყობა, აგრეთვე პიროვნების ფსიქოლოგიური სტრუქტურის სხვა ელემენტები.

ადამიანთა მოღვაწეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლის ერთ-ერთ საკვანძო პრობლემას წარმოადგენს მოტივაციის პრობლემა. ტერორიზმის ფსიქოლოგიური მიზეზების კვლევის ასპექტში მოტივაციის ცნება, ჩვენი აზრით, არტარებს შემდეგ შინაარსს: პირველ რიგში, ამ ცნებით შეიძლება აღვნიშნოთ ტერორისტული აქტის მოტივის წარმოქმნისა და ფორმირების პროცესი; მეორეს მხრივ – განვსაზღვროთ

მოთხოვნილებათა, ინტერესების, ჩვევების და ა.შ. ერთობლიობა, რომელიც საფუძვლად უდევს თვით ტერორისტულ აქტს.

ჩვენის აზრით, ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ მოტივაციის სოციალური დეტერმინირების ხასიათი და მისი როლი ტერორისტული ქცევის მექანიზმში.

ტერორისტული აქტის მექანიზმში მოტივაციის პროცესი ერთდროულად ასრულებს ასახვით და აღმძვრელ-მარეგულირებელ ფუნქციას. ცნობილია მოტივაციის ფსიქოლოგიურად გამააქტივებელი როლი. მისი არსებობა და სოციალური მიმართულება წარმოადგენს აუცილებელ პირობას ტერორისტული ქმედების ფსიქოლოგიურ მომზადებასა ან მისგან თავის შეკავებაში. მოტივი ასტიმულირებს ნებით ენერჯიას მოღვაწეობის რთულ ფსიქიკურ სახეობებში (აზროვნებითი, ძიებითი, შემოქმედებითი პროცესი და ა.შ.).

ასახვითი ფუნქცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების ფასეულობით ორიენტაციაში, მისი სოციალური მოთხოვნილებების და გარემო დეტერმინანტების გარდაქმნაში უშუალოდ ნებითი გადაწყვეტილება წარმოადგენს ქცევის სოციალურ აქტს. ნებითი გადაწყვეტილება განსზვავდება რეფლექსური, იმპულსური და ინსტინქტური მოქმედებისაგან შინაარსითა და სტრუქტურით.

ნებისმიერ ნებით გადაწყვეტილებას აქვს აზრობრივი შინაარსი, რომელიც განსაზღვრავს ქმედების მიზანს და მოტივს. ნებით ქმედების ჩადენას წინ უსწრებს მოტივაციის შინაგანი პროცესები. ამასთან ერთად, სანამ მისწრაფება იქცევა ქმედებად, ცნობიერდება ქმედების მოტივი, ხოლო ნებითი ქმედების შესრულება რეგულირდება მიზნის შესაბამისად.

ამრიგად, ნებისმიერი ტერორისტული აქტი უნდა განვიხილოთ ნებითი გადაწყვეტილების ასპექტში, რომელსაც აქვს მოტივაციური მექანიზმები, იმ დროს, როცა ტერორისტული მოქმედებანი წარმოადგენს რთული ნებითი აქტების ჯამს. იგი იკრიბება რიგი მოქმედებების ეპიზოდებისაგან.

ქცევის მოტივის რეალიზაციის ფსიქოლოგიურ ფორმას წარმოადგენს მიზანი. ეს არის მნიშვნელოვანი და სასურველი შედეგი, რომლისკენაც მიისწრაფვის ტერორისტი დანაშაულებრივი ქმედების დროს, იგი წარმოადგენს აგრეთვე სასურველი შედეგის შინაგან მოდელს.

მიზნის სახე ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: წინასწარმეტყველების ფუნქციას და ბრძანების პროგრამის მატარებლის ფუნქციას. მიღებულ ინფორმაციასთან მიზნის შეჯერების საფუძველზე, მიზნის სახე არეგულირებს ქმედების ყოველ ნებით აქტს. მიზნის სუბიექტური სახე თან სდევს ქცევის ყოველ ნებით აქტს. სუბიექტური მიზნის მიღწეულ შედეგად გადაქცევა - ეს არის ცნობიერების ელემენტების გადაქცევა ობიექტურ რეალობად. ამიტომ ტერორისტული ქცევის მოტივები და მიზნები ფსიქოლოგიურ ასპექტში დამოკიდებული ცნებებია.

მოტივს მივყავართ მიზნის დასახვამდე, მაგრამ დამოუკიდებლად არ წარმოადგენს მიზანს. ის მხოლოდ მოთავსებულია ქცევითი აქტის წინ. დასახული მიზნის მოცულობის მიხედვით, მიღებული ეფექტი შეიძლება სრულიად შეესაბამებოდეს მოსალოდნელ შედეგს. ტერორისტის ნებისაგან დამოუკიდებელი ძალებისა და გარემოებათა ჩარევის შემთხვევაში მიღებული შედეგი შეიძლება არ ემთხვეოდეს დასახულ მიზანს. ამგვარად, მიზანი არ განხორციელდება ბოლომდე და შედეგი არ იქნება დასახული მიზნის შესაბამისად.

დანაშაულებრივი ქმედების მოტივების განსაზღვრა სოციალური პათოფსიქოლოგიის სფეროში მომუშავე ბევრი სპეციალისტის კვლევის საგანს წარმოადგენს. არსებობს მრავალფეროვანი ფსიქოლოგიური კონცეფციები, თეორიები და სკოლები, რომელნიც დამაშაულის მოტივს სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ. სპეციალისტთა უმრავლესობა მხარს უჭერს საქციელის მნიშვნელოვნების ცნებას, რომელსაც ძალუძს დააკმაყოფილოს პიროვნების მოთხოვნილება. თითოეულ პიროვნებას აქვს მისწრაფებათა

ფართო დიაპაზონი. ეს განაპირობებს მოქმედების მოტივაციის მრავალმხრიობას და მრავალგვარობას. კონკრეტულ სიტუაციაში პიროვნება უპირატესობას ანიჭებს განსაზღვრულ მოტივს. იგი ხდება წამყვანი, მთავარი ქცევაში. წამყვანი მოტივი გვერდზე გასწევს ან დაიქვემდებარებს დანარჩენ სურვილებს.

ტერორისტული აქტის მოტივაციაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს მოთხოვნილების ქცევას. მოთხოვნილება სოციალურ-ფსიქოლოგიური კატეგორიაა. იგი ფორმირდება პიროვნების სოციალიზაციის, მისი მოღვაწეობის პროცესში. სოციალური ფაქტორები განაპირობებენ პიროვნების და გარემოს ურთიერთქმედების ხასიათს, მის ადგილს, სტატუსს და როლს სოციალური ურთიერთქმედების სისტემაში. ეს ფაქტორები განსაზღვრავენ აგრეთვე თითოეული კონკრეტული მოთხოვნილების მიმართულებას და მისი დაკმაყოფილების რეალურ შესაძლებლობას. სოციალური პირობები აყალიბებენ მოთხოვნილებათა სისტემას, რომელიც პოულობს გამოსავალს მოღვაწეობის კონკრეტულ ფორმებში.

თანამედროვე პიროვნების მოთხოვნილებანი მეტად მრავალფეროვანია. ადამიანის ბიოსოციალური ბუნებიდან გამომდინარე, მოთხოვნილება შეიძლება არსებობდეს შემდეგი ფორმებით: სოციალიზირებული მოთხოვნილება და სოციალური მოთხოვნილება. ორივე ეს ფორმა წარმოიქმნება და დაკმაყოფილდება ადამიანის მოღვაწეობის პროცესში.

ტერორისტული აქტის მოტივაციის პროცესში მოთხოვნილებათა ორივე ამ ფორმის მნიშვნელობის კომპლექსური ანალიზი საშუალებას იძლევა აიხსნას მისი სტრუქტურა და შინაარსი, გამოვლინდეს სოციალური მიზეზები და ტერორისტული საქმიანობის მოტივების ფორმირების მექანიზმები. ანომალური მოთხოვნილება, როგორც წესი, წარმოშობს დანაშაულებრივ ქცევას არა უშუალოდ, არამედ მთელი რიგი შუალედური რგოლების გავლით, რომელსაც

მიეკუთვნება დანაშაულებრივი ინტერესები, შეხედულებანი, რწმენა და განწყობა.

ტერორისტული ქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოტივს წარმოადგენს პიროვნულ-ზნობრივი განწყობა. არის რა სოციალური განწყობის ნაწილი, იგი წარმოადგენს აგრეთვე ემოციური სფეროს ელემენტს.

ამრიგად, შეიძლება დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ტერორისტული ქცევა გამოწვეულია არსებითად არა განცალკევებული მოტივებით, არამედ ტერორისტის პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური მხარეებით მთლიანად, მისი მსოფლმხედველობით. ფასეულობითი ორიენტაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული პიროვნების მსოფლმხედველობასთან, ე.ი. მისი შეხედულებების და რწმენათა სისტემასთან. მსოფლმხედველობამ შეიძლება განსაზღვროს ადამიანის ძირითადი მიმართულება და შეიძლება დაიქვემდებაროს მისწრაფებათა ყველა სხვა სახეობანი. მოტივი არა მხოლოდ ასახავს ტერორისტის მისწრაფების გარეგან და შინაგან მიზეზებს, არამედ აქვს მარეგულირებელი მნიშვნელობა. დანაშაულებრივი ქმედების მოსამზადებელი ეტაპი, ჩვეულებრივ შედგება ქმედების მოტივის გაცნობიერების, მოტივთა ბრძოლის და გადაწყვეტილების მიღებისაგან. ხდება ნებითი აქტიობის სტიმულირება.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დაუშვებელია გამარტივებული წარმოდგენა მოტივაციის მექანიზმზე, როგორც ფსიქოლოგიური აქტის ერთმომენტიან გამოვლინებაზე. ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიური და პათოფსიქოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ ადამიანის ნებისმიერი ქცევა პოლიმორფულია. იგი ჩვეულებრივ წარმოიშვება არა ერთი, არამედ მრავალი მოტივებით, ერთი ან ურთიერთშემავსებელი და ურთიერთგანმამტკიცებელი მისწრაფებების დომინირებისას. ამიტომ, ნებისმიერი მოტივაცია უნდა განვიხილოთ როგორც იმ მოტივების სისტემა, რომელსაც მივყავართ ერთი საქციელისაკენ.

მოტივების კონფლიქტში მონაწილეობენ პიროვნული ფაქტორები, ქარაქტეროლოგიური და ინტელექტუალური თავისებურებანი, მოცემულ მომენტში განცდილი ფსიქო-სოციალური ემოციები, კონკრეტული სიტუაციის ზეგავლენა და ა.შ. თვითოეულ ადამიანში ეს კონფლიქტი მიმდინარეობს მისი ელემენტების გამოვლინების სხვადასხვა სიმძაფრით, სისწრაფით და სიმწვავეთ. მოტივაციის პროცესში შესაძლოა მოხდეს მოტივების ურთიერთდაპირისპირება და ერთის მიერ მეორის განდევნა ან პირიქით, წამყვანი მოტივის გამყარება და გაძლიერება თანმხლები ფაქტორებით. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მიღებულია განვასხვავოთ სუბორდინაციის ან ერთი მოტივის მიერ მეორის დაქვემდებარების მოვლენები, აგრეთვე მისი შინაარსის შეცვლის შესაძლებლობა.

ამგვარად, მოტივის ფუნქცია ტერორისტული აქტის მომზადების სტადიასა და მისი შესრულების სტადიაზე არაერთნაირია. პირველ სტადიაზე ის აყალიბებს გადაწყვეტილებას და ბადებს ნებას, ხოლო ტერორისტული აქტის შესრულების სტადიაზე განსაზღვრავს უკვე ფორმირებულ ნებას და წარმოადგენს მის აზრობრივ მხარეს.

ტერორისტული საქმიანობის მოტივაცია შეიძლება დაიყვანოს “მიღწევათა მოტივაციის” ღონეზე. მიზანი ხდება თითქოს და ავტონომიური, დამოუკიდებელი საბოლოო მიზნისაგან. საბოლოო მიზნის წარმოქმნა ხდება ერთდროულად ორი მიმართულებით: წარმოდგენა ქმედების საბოლოო შედეგზე და წარმოდგენა ქმედებათა ციკლზე, რომელთაც მივყავართ საბოლოო მიზნის მიღწევამდე.

ამგვარად ტერორისტული აქტის ფსიქოპათოლოგიური საფუძვლები სტრუქტურითა და შინაარსით მნიშვნელოვნად განსხვავდება ტერორისტული საქმიანობის ფსიქოპათოლოგიური საფუძვლებისაგან.

კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სწორად გავიგოთ და გავაანალიზოთ ტერორისტული აქტის ფსიქოლოგიური მექანიზმები. ამ

ასპექტში უნდა განვასხვავოთ მოვლენის ობიექტური შინაარსი და მისი სუბიექტური მნიშვნელობა, რაც დაკავშირებულია ტერორისტის პიროვნების შეხედულებებთან, გამოცდელეებასთან, მიდრეკილებასა და ხასიათთან.

ტერორისტული აქტის ობიექტური შინაარსი და სუბიექტური მნიშვნელობა განსხვავებული ცნებებია. ნებისმიერ რთულ ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანის ქცევა დაკავშირებულია მის ზნეობრივ თვისებებთან, რწმენას, მიდრეკილებებს, სოციალურ განწყობასა და საზოგადოებრივ აზრთან. ფსიქოპათოლოგიური თვალსაზრისით არსებობს კონკრეტულ გარემოებათა დამთხვევა, რომელსაც რეალური გავლენის მოხდენა შეუძლიათ ტერორისტის ქცევაზე. კონკრეტული სიტუაცია არსებობს მხოლოდ კონკრეტულ სივრცესა და კონკრეტულ დროში. მან შეიძლება მოიცვას დიდი ტერიტორია და შენარჩუნდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ან შემოისაზღვროს მცირე ტერიტორიით და დასრულდეს მომენტალურად. კონკრეტული ტერორისტული აქტის სივრცული დროითი მასშტაბები დამოკიდებულია მის ხასიათსა და შინაარსზე, აგრეთვე მის გაცნობიერებულ შეფასებას და ვარიანტის ამორჩევაზე.

ეს გვაძლევს საშუალებას გარკვეული სარწმუნოებით ვიწინასწარმეტყველოთ კატასტროფის დადგომის შესაძლებლობა და ჩამოვაყალიბოთ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გარკვეული გზები.

სიტუაციის შეფასება დაკავშირებულია თვით ტერორისტის შეხედულებების, მიდრეკილებების და ინტერესების მიმართულებასთან. ამიტომ მიღებულია განვასხვავოთ მოტივაციურად განურჩეველი და მოტივაციურად მნიშვნელოვანი სიტუაციები. მოტივაციურად მნიშვნელოვანი სიტუაცია წარმოადგენს ტერორისტული აქტის ჩადენის საბაბს, მოტივაციურად განურჩეველი სიტუაციის შემთხვევაში მისი ელემენტების ხასიათი არ ზემოქმედებს ტერორისტის საქმიანობაზე.

კონფლიქტური სიტუაციები ხშირად წამოიჭრება ზნეობრივ ან სამართლებრივ პრობლემათა გადაჭრისას, მაგრამ მათ ყოველთვის არ მოჰყვება არასამართლებრივი ქცევა. კონფლიქტთა ფორმები მეტად მრავალფეროვანია, თუმცა არსებობს აგრეთვე ზოგადი კრიტერიუმები. ყველა კონფლიქტისათვის საერთოა კითხვა: რა ფასად შეიძლება მივალწიოთ სასურველ შედეგს? ეს კითხვა საჭიროა განვიხილოთ პიროვნების ორიენტაციის და შეხედულებათა მიმართულების, ეთიკური პოზიციის და ზნეობრივი იდეალების ასპექტში. ნებისმიერი ტერორისტული აქტი, ყოველთვის არის რეალურ სინამდვილეზე ადამიანის არაადეკვატური წარმოდგენის ნაყოფი.

ტერორიზმის განვითარების მიზეზების გარკვევაში, მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ქცევის დეტერმინირებას, ნებისყოფის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის პრობლემებს, გარემო ფაქტორებსა და შიდა პროცესებს.

მორალური არჩევანი ყოველთვის კეთდება ინდივიდუალური გადაწყვეტილების საფუძველზე. არჩევანის სიტუაციაში პიროვნული გადაწყვეტილება და ობიექტური გარემოებანი ურთიერთდაკავშირებულია, ვინაიდან წარმოადგენენ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთიანი სისტემის ელემენტებს. მორალურ არჩევანს ახორციელებს საზოგადოებრივი სუბიექტი. ამ პროცესში საზოგადოებრივი ურთიერთობანი იქცევა ინდივიდუალურად. ადამიანი თვითონ ახორციელებს თავისი თავის კონსტრუირებას. იგი იძენს პიროვნულ მახასიათებლებს დაგროვილი ინდივიდუალური გამოცდილების, კულტურული ტრადიციების, პიროვნული მიდრეკილებების და იმ მიზნების შესაბამისად, რომელსაც იგი ისახავს.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პიროვნების მიერ გარემოს ზემოქმედების სწორად შეფასების უნარი. უნარი იმისა, რომ სწორად შეუთანხმოს ქცევები და

საკუთარი განწყობა მიღებულ ზნეობრივ კრიტერიუმებს და მის შესაბამისად გამოიმუშავოს ქცევის განსაზღვრული ხაზი.

ადამიანის უნარი, შეინარჩუნოს ზნეობრივი პოზიციები სხვადასხვა ექსტრემალურ სიტუაციებში, გადალახოს გარე და შიდა სიძნელეები, წარმოადგენს მისი ზნეობრივი მდგომარეობის საფუძველს. ასეთი მდგომარეობის ფორმირება უნდა გახდეს ანტისაზოგადოებრივი ტერორისტული საქმიანობის პროფილაქტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

რომ გავიგოთ ტერორისტის ქცევის ლოგიკა, უნდა განვსაზღვროთ მისი სულიერი სამყაროს ხასიათი და თავისებურებანი დროის შემდგომ განზომილებებში: წარსული, აწმყო და მომავალი. სუბიექტური სამყაროს ფორმირება წარმოადგენს დინამიკურ პროცესს, რომელიც მიმდინარეობს წარსულიდან აწმყოს გავლით მომავლისაკენ. გარემოსთან ურთიერთქმედების პროცესში სულიერი სამყაროს ზოგი კომპონენტი ჩნდება, სხვა იცვლება ან სრულიად ქრება.

პიროვნების სტრუქტურის თითოეული ელემენტი ასრულებს თავის საკუთარ როლს ადამიანის ქცევის რეგულაციაში. ქცევის უშუალო მოტივს წარმოადგენს მოთხოვნილებანი, ინტერესები, გრძნობები. ემოციები, სურვილები, მიზნები, გეგმები და ოცნებები განსაზღვრავს ადამიანის ორიენტაციას მომავალზე. დასახული მიზნის განხორციელების საშუალებას წარმოადგენს ცოდნა, უნარი, ჩვევები და ნიჭი.

პიროვნების სოციალურ განწყობას წარმოადგენს სოციალური მოვლენების აღქმა გარკვეული მიმართულებით და გარკვეული პოზიციიდან, ორიენტაცია ამა თუ იმ სოციალურ ფასეულობაზე.

პიროვნების ეს სტრუქტურა წარმოადგენს ცნობიერების ცენტრალურ ღერძს, რომლის გარშემოც ტრიალებს აზრები და გრძნობები. ამ თვალსაზრისიდან წყდება ცხოვრებისეული საკითხები.

ამრიგად, პიროვნების ანტისაზოგადოებრივი ტერორისტული განწყობა შეიძლება დავახასიათოთ როგორც

მზადყოფნა იმოქმედოს საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ თავისი შეხედულებებისა და მოთხოვნილებათა თანახმად.

ასეთი ანომალური განწყობა ყალიბდება უარყოფითი სოციალური გამოცდილების, ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების და სოციალურად განწყობილი ცალკეული პიროვნებების ან პიროვნებათა ჯგუფის მავნე ზეგავლენის შედეგად.

ნებისმიერ შემთხვევაში გასათვალისწინებელია პიროვნების წინასწარგანწყობა. თვით სიტუაციის აღქმასა და შეფასებაში ზოგჯერ ჩაღებულია ანტისაზოგადოებრივი, ნეგატიური ქმედების ტენდენცია. ანტისაზოგადოებრივი განწყობის ხარისხი შეესაბამება ტერორისტული აქტის საზოგადოებისათვის საშიშროების დონეს.

სოციალური განწყობის ცნება მჭიდროდ უკავშირდება სოციალური ორიენტაციის უფრო ფართო ცნებას. მიღებულია, რომ სოციალური ორიენტაციის ცნებით აღნიშნავენ ადამიანის საზოგადოებრივი ქმედების ვექტორს. სოციალური განწყობა წარმოადგენს მხოლოდ ამ ვექტორის არჩევანს.

აუცილებელია მივუთითოთ აგრეთვე ტერორისტული ქცევის ინდივიდუალურ მექანიზმში შემდეგი ფსიქოლოგიური ფაქტორების მნიშვნელოვან როლზე. საუბარია პიროვნების ფსიქოლოგიურ განწყობაზე, რომელიც მიღებულია განიხილებოდეს, როგორც პიროვნების დინამიური სტრუქტურის ზოგადი თავისებურებების ამსახველი ინტეგრალური ცნება. ინდივიდუალური ფსიქოლოგიური განწყობის ძვრადობის ხარისხი უკუპროპორციულია ცხოვრებისეული გამოცდილებით ან აღზრდით მიღებული პიროვნული განწყობის მდგრადობისა.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ტერორისტული აქტის ჩადენის გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალური სოციალური გადაწყვეტილების მხოლოდ განსაკუთრებულ ნაირსახეობას. როგორც სოციალური ხასიათის ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება, ისიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-

ნებით აქტს, ადამიანის ანომალური ქმედებების დამასრულებელ ეტაპს. ტერორისტული აქტის ჩადენის სურვილი დაფუძნებულია ქცევის პრინციპულად მცდარ მოდელზე და ასახავს ტერორისტის ანტისაზოგადოებრივ ორიენტაციას.

ნებისმიერი ანტისაზოგადოებრივი ტერორისტული ქმედების მექანიზმი არასწორად იქნება განმარტებული თუ არ იქნა გათვალისწინებული საზოგადოებაში ამჟამად მიმდინარე სოციალური მოვლენები და პროცესები.

მიღებულია განვასხვავოთ სამი შრე: აქტუალური, კონსტატური და სიტუაციური. ტერორისტული აქტის ჩადენაში თითოეული მათგანის როლი არაერთნაირია.

როცა აღნიშნულ შრეებსა და რეალურ სინამდვილეს შორის წარმოიშევა შეუსაბამობა, გარკვეული დისონანსი, შეიძლება მომწიფდეს სპეციფიური ფსიქოლოგიური პროცესი, მიმართული პიროვნების გაბოროტებისკენ. ამ პროცესის ანომალური განვითარება იწვევს ცალკეულ შემთხვევაში დანაშაულებრივ ტერორისტულ საქმიანობას.

ტერორისტული საქმიანობის ფორმირება

ტერორიზმი ერთის მხრივ წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტს, მეორეს მხრივ თვითონ ახდენს ზემოქმედებას საზოგადოების ცხოვრებაზე. სარგებლობს რა ტერორისტული აქტის ჩადენისათვის მოსახერხებელი სოციალური, პოლიტიკური და სხვა პირობებით, ტერორიზმი მიზანდასახულად გარდაქმნის გარემოს დანაშაულის ჩასაძენად, ამიტომ ტერორიზმის პრობლემა უნდა შეისწავლონ და გადაჭრან არა მხოლოდ იურისტებმა, სისხლის სამართლის სპეციალისტებმა, კრიმინალისტებმა და ა.შ., არამედ სოციოლოგებმა, ფსიქოპათოლოგებმა, პათოფსიქოლოგებმა და ფსიქიატრებმაც.

ტერორისტული საქმიანობის ფსიქო-სოციალური ასპექტები ადასტურებენ, რომ ორგანიზებული ტერორისტული საქმიანობა შეუძლებელია იმის გარეშე თუ არ იქნა სუბიექტთა შესაბამისი ორგანიზაცია, სხვადასხვა ადამიანთა ურთიერთკავშირი, მათი გაერთიანება ტერორისტული ხასიათის ზოგადი პროგრამით.

ჯგუფი შემოსაზღვრულია ადამიანთა ერთობის ფარგლებში, იგი გამოიყოფა სოციალური მთლიანობიდან შემდეგი კონკრეტული ნიშნების საფუძველზე: საქმიანობის ხასიათი, სოციალური და კლასობრივი წარმოშობა და სხვა. ეს არ არის სტიქიურად მოქმედი ერთობა, არამედ ერთობა, რომელსაც აქვს საკუთარი ქცევის ნორმები და კანონები. ისინი არეგულირებენ მისი სტრუქტურული წარმონაქმნების საქმიანობას. სტრუქტურული წარმონაქმნები გაერთიანებულია საერთო მიზნებით და ამოცანებით.

ტერორისტული ორგანიზაციის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ადამიანთა კონკრეტული ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია საერთო ანტი-სოციალური პროგრამით, საერთო ანტი-სოციალური მიზნით და ამოცანით. მისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა არა მხოლოდ წინასწარგანსაზღვრული,

წინასწარ დაგეგმილი დანაშაულებრივი ქმედება, არამედ შეთქმულება მუდმივი ხასიათის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ.

ფსიქოლოგიურად შესაძლოა წარმოვიდგინოთ ტერორისტული საქმიანობის არსებობის რამდენიმე დონე. ყველაზე ქვედა რომელშიც მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ დანაშაულის ჩადენა ხდება ორგანიზებული, შეკავშირებული ჯგუფების მიერ, მათში არ არის რთული სტრუქტურა, რთული იერარქია. ამრიგად ორგანიზატორის და შემსრულებლის ფუნქციები არ არის მკვეთრად განცალკევებული.

ორგანიზებული ტერორისტული დანაშაულის ყველაზე მაღალი დონე, როგორც ჩანს ეყრდნობა დანაშაულებრივი გარემოს მკაფიო ორგანიზაციას, მისი ლიდერების კონსოლიდაციით. ფსიქოპათოლოგიური თვალსაზრისით ეს თვისობრივი განსხვავება ძალიან მნიშვნელოვანია. იგი საფუძვლად ედება ფართო მასშტაბის დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარებისა და შენარჩუნების თავისებურებებს. საუბარია გავრცობილი ორგანიზებული ტერორისტული საქმიანობის შესახებ.

ტერორიზმის ფსიქო-სოციალური მხარეების გამოვლინებისა და გაგებისათვის მნიშვნელოვანია მისი წარმოშობის მექანიზმის, აგრეთვე იმ საზოგადოებრივ-სოციალურ გარემოებათა ანალიზი, რომელთაც ხელი შეუწყვეს მის განვითარებას. საუბარია თანამედროვე ცივილიზაციის სუბკულტურათა თავისებურებებზე. ამ საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია, ერთის მხრივ, გამოვყოთ ტერორიზმის, როგორც სოციალური მოვლენის განვითარების ზოგადი მხარეები და კანონზომიერებანი, ხოლო მეორეს მხრივ განვსაზღვროთ მისი ფორმირების სპეციფიკური გზები.

ჩვენის აზრით, ტერორისტული დანაშაული საერთაშორისო ხასიათისაა არა მისი ფართო საერთაშორისო კავშირების ან საზოგადოებრივ და ნაციონალობათაშორის

ურთიერთობათა გამო, არამედ იმის საფუძველზე, რომ ვცნოთ იგი, როგორც მთლიანად საზოგადოების, ცივილიზაციის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის უმაღლესი ფორმა. ცნობილია, რომ ყოველ კონკრეტულ სოციალურ სიტუაციაში შესაძლოა გაჩნდეს ისეთი გარემოებანი, რომელნიც შექმნიან ტერორისტული დანაშაულის წარმოშობის შესაძლებლობას.

თანამედროვე სოციალური კულტურა შედგება მკვეთრად შემოფარგლული არეალებისაგან, რომელნიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან. თითოეული მათგანი აკმაყოფილებს კონკრეტულ სოციალურ მოთხოვნილებას (ქვესისტემები). ერთ-ერთი ასეთი სფეროა სოციალურ-სამართლებრივი კულტურა. მის შემადგენლობაში შედის შემდეგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კომპონენტები: იმ სოციალური ნორმების სისტემა, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს აგებულებას, კანონმდებლობით და სამართლიტ რეგულირებული საზოგადოებრივ-სოციალური ასახვის სისტემა, და ბოლოს, სოციალური ნორმებისა და უფლებების შესრულებასა და გამოყენებაში ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის სისტემა.

სოციალურ-სამართლებრივი ნორმების ისტორია და თანამედროვე სოციალურ-ზნეობრივი ურთიერთობების ანალიზი ადასტურებენ ცივილიზაციის, კულტურისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დონის განმსაზღვრელ ზეგავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა კომპონენტზე.

სამართლებრივი კულტურის ურთიერთქმედება სოციალური კულტურის სხვა მხარეებთან ჩვეულებრივ ხდება შემდეგი სფეროების ურთიერთშევესების საფუძველზე: პოლიტიკური, სამეურნეო, ზნეობრივი. დროის ყოველ კონკრეტულ მონაკვეთზე საზოგადოების სოციალურ-სამართლებრივი თავისებურებანი შესაძლოა შეფასდეს მხოლოდ წინა სოციალურ-კულტურული გავლენისა და ტრადიციების გათვალისწინებით. ამიტომ ორგანიზებულ ტერორისტულ

დანაშაულებათა წარმოშობა და განვითარება უნდა განხილულ იქნას და შეფასდეს მხოლოდ შემდეგ ასპექტში.

სოციალურ-სამართლებრივი გრძნობები და განცდები არ ფორმირდება თავისთავად, არამედ ვითარდება რწმენის, შეფასებითი ურთიერთობის, განწყობის და სხვა წარმონაქმნთა საფუძველზე, რომელნიც ჩნდებიან ადამიანის პიროვნების ინტელექტუალური, ემოციონალური და ნებითი კომპონენტების ურთიერთქმედების შედეგად.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულ-ნორმატიული სისტემა წარმოადგენს ადამიანის ქცევის მართვის შინაგან მექანიზმს. ამასთან ერთად საზოგადოების მიერ მიღებული ქცევის ნორმები არ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას მხოლოდ მასალის ზნეობრივი აღქმით, სოციალურ-სამართლებრივი შეცნების მონაწილეობის გარეშე.

სოციალურ-საზოგადოებრივი ურთიერთობების თვისობრივ მხარეზე თანაცხოვრების მიღებული ნორმების ერთობლიობაზე ზემოქმედებს შემდეგი კოგნიტური ელემენტების ურთიერთშეფარდება: რწმენა, შეხედულება, ზნეობრივი ფასეულობანი და ა.შ. კოგნიტიური დისონანსი არის ნეგატიურ მისწრაფებითი მდგომარეობა. სხვადასხვა ადამიანების ერთდამიძვე ობიექტისადმი დამოკიდებულების შეუსაბამო (კომუნიკაციურ აქტებს შორის განსხვავება) უნდა გადაწყდეს მხოლოდ მშვიდობიანი გზით. კონგრუენტულობა (შესაბამისობა) ყველაზე ადვილად აღდგება კონფლიქტურ მხარეებს შორის ურთიერთობის ნიშნის ერთდროული შეცვლით. ამის საფუძველზე ხდება პოზიტიური წინსვლა არა მხოლოდ ადამიანისა ადამიანის მიმართ, არამედ საგნის ან იმ ობიექტის მიმართ, რომელთა სხვადასხვანაირად შეფასება ხდებოდა მათ მიერ. ქვეითდება კონფლიქტური აქტივობის ხარისხი, ემოციური დაძაბულობა, ნიველირდება შეიარაღებული დაპირისპირება, იზრდება სოციალური ადაპტაცია, ცვლადი გარემო პირობებისადმი აქტიური შეგუების უნარი. ამ ურთიერთობათა ხასიათი განსაზღვრავს ადამიანის ქცევის

მიმართულებას. მასზეა დამოკიდებული ინდივიდის მიზანი და ფასეულობითი ორიენტაციები. ამის საფუძველზე ირჩევს იგი მათი მიღწევის გზებს. ფორმირდება სოციალურ გარემოზე პოზიტიური ან ნეგატიური ზემოქმედების ტიპი. ადაპტაციის პროცესი მიეკუთვნება პიროვნების სწორი სოციალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე ძირითად სოციალურ-ფსიქოლოგიურ მექანიზმს. ადაპტაციის დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ადეკვატურად აღიქვამს ადამიანი თავის თავს და თავის სოციალურ კავშირებს. საკუთარი თავის დამახინჯებული ან არასწორი აღქმა იწვევს სოციალურ-საზოგადოებრივი ურთიერთობების რღვევას.

პიროვნების სოციალიზაცია ხდება სოციალური გამოცდილების ათვისების შედეგად. იგი ხორციელდება ურთიერთობებსა და საქმიანობაში და წარმოდგენილია ქცევის მარეგულირებელი ფენომენების იერარქიით.

ამრიგად, იმ ადამიანთა ქცევის კანონზომიერებათა შესწავლა, რომელნიც გაერთიანებულნი არიან ანტი-სოციალური ქცევის ფაქტით, ანტი-სოციალური ჯგუფების ფორმირების საკითხი, აგრეთვე ამ ჯგუფების ფსიქოლოგიური დახასიათება წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას ტერორისტული საქმიანობის მექანიზმის გახსნისას. სოციალური და ინდივიდუალური ცნობიერების შეფარდება, ადამიანთა ურთიერთობისა და ურთიერთქმედების კანონზომიერებანი (საზოგადოებრივ და პიროვნულ დამოკიდებულებათა სისტემაში ურთიერთობის როლი) საზოგადოების სულიერი სტრუქტურა მიზნად ისახავს ადამიანის ფსიქოლოგიური სტაბილურობის გამყარებას, ცვლად სიტუაციაში მისი ქცევის პოზიტიური ორიენტაციის აგებას. სოციალური რეალობა არის სოციალურ წარმოდგენათა აღქმა. სწორი სოციალური წარმოდგენა ხსნის დაძაბულობას ჩვეულ და ახალ შინაარსს შორის, ადაპტირდება უკვე ჩამოყალიბებულ წარმოდგენათა სისტემასთან.

სოციალიზაციის წამყვანი საწყისია აღზრდა. აღზრდა ანუ საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილების გადაცემა

მიზნად ისახავს გეგმაზომიერ და გამიზნულ ზემოქმედებას ადამიანის ცნობიერებასა და ქცევაზე. აღზრდა აყალიბებს გარკვეულ განწყობას, ფასეულობებს, ცნებებს, პრინციპებს, რომელიც საჭიროა ადამიანის განვითარებისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მისი მომზადებისათვის. ტერორისტული ჯგუფები ან ტერორისტული ორგანიზაციები, გაერთიანებულნი საერთო ანტისოციალური წარმოდგენებით გარკვეულ მთლიანობად, რაც თვისობრივად არ შეესაბამება საზოგადოებრივ ნორმებს და წესებს თავისი ტერორისტული საქმიანობით გეგმაზომიერად ახდენენ ზეგავლენას საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. ამასთან ერთად ისინი თვითონ კარგავენ გარეშე პროცესებისა და ზეგავლენისადმი მგრძობიერებას, მათში ხდება საკუთარი ქცევისა და ქმედების შეფასების დიაპაზონის გამარტივება, სქემატიზაცია. ნებისმიერი ტერორისტული აქტი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული აფექტური შეფერილობითა და შეფარდებითი მიმართულებით. აღზრდა ყოველთვის მიკერძოებულია.

პიროვნების განვითარება წარმოადგენს ახალ სოციალურ გარემოში თანდათანობით შესვლის პროცესს. შედარებით სტაბილურ სოციალურ გარემოში ჯერ ღვება მოქმედი ფასეულობების და ქცევის ნორმების ფაზა, შემდეგ ხდება საქმიანობის ფორმირებისა და საშუალებების დაუფლება და ამ გზით საზოგადოების წევრისადმი მიბაძვა (ადაპტაციური ფაზა). შემდგომი ფაზაა ინდივიდუალიზაცია. იგი წარმოიქმნება აუცილებლობით იყოს როგორც ყველა და მაქსიმალური დამოუკიდებლობის სურვილს შორის წინააღმდეგობისაგან. ეს ფაზა ხასიათდება ინდივიდუალურობის გამომჟღავნების გზებისა და საშუალებების ძებნით. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთგარიგება არ მიიღწევა, ფორმირდება ნეგატივიზმი, აგრესია.

აგრესიული საქციელი - ეს არის მხოლოდ ტერორისტის ქმედების ფორმა, ეს პირველ რიგში მისი აზროვნების ფორმაა. ტერორისტის აზროვნების ხასიათი ეყრდნობა უპირატესობის

დემონსტრირებას ან ძალის გამოყენებას იმ პირთა მიმართ, რომელთაც იგი ისწრაფვის რომ მიაყენოს მატერიალური ან ფიზიკური ზარალი. არსებობს აგრესიის გამოვლინების მეტად მრავალი ფორმა.

სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრესიული ქცევის სუმაციის პროცესი, რის შედეგადაც ხდება პიროვნებათაშორის აგრესიის გადაქცევა ჯგუფთაშორის აგრესიად.

ინდივიდუალური ან კონფლიქტური ქცევა, რომელიც მიმართულია სხვა ადამიანის ან სხვა ადამიანთა ჯგუფისათვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების ან მოსპობისაკენ, წარმოადგენს აგრესიის აქტს. ტერორისტული აქტის პროცესი ხასიათდება მიზანდასახული, შეცნობილი აგრესიით, რომელსაც გამოიყენებენ, როგორც ტერორიზმის განმტკიცების ძირითად საშუალებას.

აგრესიის ნებისმიერი ფორმისათვის, რომელიც ვითარდება მასიურ სოციალურ მოვლენად (ტერორიზმი, რასობრივ-რელიგიური შეჯახებანი და ა.შ.) ტიპიურია ინდუქცია, შთაგონება მტრის შექმნილი წარმოდგენის სტერეოტიპიზაცია.

შთაგონება ეს არის ერთი ადამიანის მიერ მეორეს საქციელის, განწყობის, მიზნების, წარმოდგენების და შეფასებების შეცვლა. მიმართული შთაგონების მექანიზმს წარმოადგენს: რწმენა, ზეგავლენა, პირადი მაგალითი. ზემოქმედებს რა ადამიანის ფსიქიკურ სფეროზე, შთაგონების პროცესი აქვეითებს შეგნებასა და კრიტიკულობას. შთაგონების გზით ათვისებული ფაქტები შემდგომში აკვიატების ხასიათს იძენს. ისინი ძნელად ექვემდებარებიან გააზრებას და კორექციას, რამეთუ წარმოადგენენ შთაგონებულ განწყობათა ერთობლიობას. ასე იბადება ტერორისტული საქმიანობის პირველი ნაბიჯები.

რწმენა ეს პიროვნების განსაკუთრებული თვისებაა, რომელიც განსაზღვრავს მისი საქმიანობისა და ფასეულობათა ორიენტაციების ზოგად მიმართულებას. რწმენა არეგულირებს ადამიანის ცნობიერებასა და ქცევას. ამავე დროს იგი

გამოხატავს პიროვნების სუბიექტურ დამოკიდებულებას თავისი საქციელისადმი. შედეგად ხდება საქმიანობის განსაკუთრებული მოტივისა და პიროვნული განწყობის ფორმირება.

რწმენისაგან განსხვავებით ფანატიზმი, რაც დამახასიათებელია ტერორიზმისათვის, წარმოადგენს ისეთ ურყევ თვითრწმენას, რაც უკუაგებს ნებისმიერ ალტერნატივას. ფანატიზმი ერწყმის სხვაგვარად მოაზროვნეთა აუტანლობას, იმ ეთიკური ნორმების უგულვებელყოფას, რომელნიც ხელს უშლიან დასახული მიზნების განხორციელებას.

აგრესიის ფორმა განისაზღვრება სოციალიზაციის დონით, კულტურულ-სოციალურ ნორმებზე ორიენტაციის ხასიათით. აგრესიული ქმედების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ემპათიის იდენტიფიკაციის, დეცენტრაციის ფსიქოლოგიური პროცესების ანომალია, რაც საფუძვლად უდევს სუბიექტის თანაგრძნობის უნარს.

ამ ასპექტში განსაკუთრებით მწვავედ დგას სოციალური და არა ბიოლოგიური ურთიერთგაგების პრობლემა.

საუბარია ისეთ სიტუაციებზე, ქცევის ტიპებსა და ფორმებზე, რომელშიც პოლარიზდება ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე ძირითადი პრინციპები. ისინი ჩვეულებრივად გამოვლინდება ექსტრემალურ სიტუაციებში, კონფლიქტებისა და გლობალური კატასტროფის დროს.

მოთხოვნილება წარმოადგენს ადამიანის აუცილებელ მდგომარეობას. ეს გრძობა არეგულირებს ქცევას, განსაზღვრავს აზროვნების, გრძობათა, ნების და საქციელის მიმართულებას. მოთხოვნილება განპირობებული აღზრდის პროცესით, ამ სიტყვის სრული გაგებით, ე.ი. ადამიანური კულტურის სამყაროსთან ზიარებით, რომელიც წარმოადგენილია როგორც საგნობრივად (მატერიალური კულტურა), ასევე ფუნქციონალურად (სულიერი კულტურა). კულტურის ამ ფორმებს შორის განსხვავება და შესაბამისად, განსხვავება მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს შორის, განსაზღვრავს ადამიანის შემდგომი ქმედებების შინაარსს.

ჩვენ არ ვეყრდნობით კულტურაზე, როგორც ადამიანის განათლების ან აღზრდის გარკვეულ მაჩვენებელზე წარმოდგენას. ჩვენს შემთხვევაში კულტურის ცნების ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ადამიანის მიერ შექმნილ მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, აგრეთვე ქცევის იმ ნორმებსა და სიმბოლოებს, რომელიც მიღებული და აღიარებულია გარკვეულ საზოგადოებაში და გადაეცემა შემდეგ თაობებს.

კულტურა ამ თვალსაზრისით მოიცავს უკიდურესად ფართო ცნებას ორი ძირითადი სფეროს - მატერიალურის და სოციალურის გამოყოფით.

სოციალური სამართლისა და ქცევის სოციალური ნორმების კულტურა მიეკუთვნება სულიერ სფეროს. მასში შედის, ერთის მხრივ მართლცნობიერება, მეორეს მხრივ ამ ცნების შეფარდება კულტურის სხვა ფენომენტთან. ერთიანობის და მრავლობითობის საფუძველზე წარმოიქმნება სუბკულტურები. სუბკულტურის მატარებლები არიან ადამიანთა გარკვეული ერთობანი, რომელნიც ფორმირდებიან ისტორიული, ეკონომიური, ბუნებრივ-გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეთნიკური, ასაკობრივი, განათლების, ყოფითი, პროფესიული და სხვა ფაქტორების მიხედვით.

ამა თუ იმ ფაქტორების შეფარდებითი უპირატესობა და განსაკუთრებული შერწყმა განსაზღვრავს კულტურის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს.

ადამიანთა ძირითადი ცხოვრებისეული პოზიციები, მათი რწმენა, ფასეულობითი ორიენტაციები განსაზღვრავს ადამიანის მსოფლმხედველობის ხასიათს. მსოფლმხედველობა არეგულირებს ადამიანის ქცევის ნორმებს, მის ცხოვრებისეულ ინტერესებს. ისინი ფორმირდება საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო, ტექნიკური, ფილოსოფიური ცოდნის, აგრეთვე უშუალოდ ადამიანის ცხოვრების პირობების ცოდნით. მსოფლმხედველობა გადაეცემა თაობიდან თაობას ადამიანთა გამოცდილებასთან ერთად საღი აზრის და სტიქიური ტრადიციული წარმოდგენების ფორმით. იგი ეყრდნობა

ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს და განსაზღვრავს ადამიანთა ქცევას ზნეობრივი პრობლემების გადაჭრისას.

მსოფლმხედველობა განუყოფელია ტრადიციისაგან. ტრადიცია ეს არის ისტორიულად ჩამოყალიბებული და თაობიდან თაობაზე გადაცემული ქცევის ფორმა, რომელმაც არაერთგზის დაადასტურა თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და სარგებლობა.

დასკვნა

ტერორიზმი, მისი ბუნება, ხასიათი, წარმოშობის მიზეზები, აგრეთვე ტერორიზმთან ბრძოლის გზები წარმოადგენს 21-ე საუკუნის მნიშვნელოვან პრობლემას.

შესწავლის საგანი ხდება ტერორისტების პიროვნების ქარაქტეროლოგიური თავისებურებები, მათი ანტისაზოგადოებრივი საქმიანობის ფსიქო-სოციალური საფუძვლები, ჩადენილი ტერორისტული აქტის სიმძიმე და სხვა.

ჩვენის აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიმართულებაა იმ პიროვნების ანტისაზოგადოებრივი მხარეების და მათი ფორმირების მექანიზმების კვლევა, რომელმაც ჩაიდინა ტერორისტული აქტი, იმ კონკრეტულ სიტუაციასთან კავშირის დადგენა, რამაც წარმოშვა ეს საქციელი.

ამ ასპექტში ჩატარებული ფსიქო-სოციალური, ფსიქოლოგიური და პერსონოლოგიური დაკვირვებანი საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ტერორისტის პიროვნების ანტისაზოგადოებრივად ჩამოყალიბების, მისი შეხედულებების, რწმენის სოციალური განწყობის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სოციალური კულტურისა და ცივილიზაციის სხვადასხვა დონეზე ნეგატიური მონაწილეობის მიზეზები. აქტიური ტერორისტული საქმიანობის მიზეზი ყოველთვის მდგომარეობს პიროვნულ შინაარსში, რომელსაც ტერორისტი დებს მის მიერ ჩადენილ ტერორისტულ აქტში.

ანტისაზოგადოებრივი შეხედულებებისა და წარმოდგენების ფორმირების თავისებურებანი, ჩადენილი ტერორისტული აქტის პიროვნული შეფასება წარმოადგენს ტერორისტის პიროვნების რწმენის სიღრმის მაჩვენებელს თავისი ცხოვრებისეული პოზიციის მნიშვნელობაში.

ტერორისტული საქმიანობის გამოკვლევა აღნიშნული მიმართულებით საშუალებას მოგვცემს გავაშუქოთ ტერორიზმის ანტისაზოგადოებრივი სახე ფსიქო-სოციალური

კუთხით, მისი დანაშაულებრივი განზრახვა და დაჟინებული სურვილი, მიაღწიოს დამანგრეველ შედეგებს.

ნებისმიერი აქტიური მოღვაწეობის პრობლემა – ეს პირველ რიგში მოტივაციის პრობლემაა. ცნობიერების სოციალურ-ფსიქოლოგიურ დონეზე იგი ახასიათებს რეალურ შეხედულებებს, რწმენას, დამოკიდებულებას გარემო სინამდვილესთან. ანტისაზოგადოებრივი მოტივების მდგრადობა, მათი იერარქია და ურთიერთშეფარდება შეადგენს ტერორისტის სოციალურ-ფსიქოლოგიური პროფილის საფუძველს.

ამ ასპექტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ფსიქოლოგიური ფენომენები: თავისი საქციელის სისწორის რწმენა, რწმენა იმისა, რომ მისი საქციელი შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომელსაც ტერორისტს უყენებს ის ორგანიზაცია, რომელსაც იგი ეკუთვნის, რწმენა მის მიერ ათვისებული ნორმების, იდეების და იდეალების მნიშვნელობაში.

ტერორისტის თვითგამორკვევა, მისი არჩევანი, კლინდება ქცევის საზოგადოებრივი ნორმების, საზოგადოების მიერ მიღებული იდეებისა და პრინციპების უარყოფით.

ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაცია აისახება ადამიანის აზრებისა და გრძნობების განწყობაში. იგი იწვევს მის სულიერ სამყაროში შესაბამის რეაქციას, რომელიც გარკვეულ პირობებში შესაძლოა იქცეს ტერორისტის აქტუალურ ანტისაზოგადოებრივ განწყობად. თავის მხრივ, აქტუალური განწყობა ასრულებს იმ გარეშე და შიდა ფაქტორების გამშვები მექანიზმის როლს, რომელნიც განსაზღვრავენ კონკრეტულ ტერორისტულ ნაბიჯს.

აქტუალური განწყობა, როგორც ადამიანის მთლიანად სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, წარმოადგენს მისი სოციალურად ორიენტირებული აქტივობის, მსჯელობის, შეხედულების და ა.შ. და ა.შ. საფუძველს. მას უნარი აქვს გარდაიქმნას როგორც სოციალური, ასევე ანტისოციალური ხასიათის საქმიანობად. თითოეული მათგანი წარმოადგენს ცხოვრებისეული პოზიციის განმტკიცებას.

ამ ასპექტში წამოიჭრება საკითხი ტერორისტის ცხოვრებისეული პოზიციის სოციალურ-ფსიქოლოგიური კორექციის შესახებ.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ამისათვის პირველ რიგში აუცილებელია:

ფასეულობითი ორიენტაციისა და გამომუშავებული მიდრეკილებების დროული კორექცია

მცირე სოციალურ ჯგუფებში და ღიდ საზოგადოებრივ სისტემებში პიროვნებათაშორის კავშირების სწორი შერჩევა

პიროვნების ახალი, განახლებული სტატუსის ფორმირება ზნეობრივი და მორალური მოვალეობების სფეროში

აღმოუჩნდეს ინდივიდუალური დახმარება თოთოეულ ადამიანს, იპოვოს გამოსავალი რთული ცხოვრებისეული სიტუაციიდან.

გამოსავალი, ერთის მხრივ არ უნდა შელახავდეს მის ღირსებას, საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძობას, მეორეს მხრივ, უნდა იყოს იურიდიულად სწორი.

შეხედულებები, რწმენა, ადამიანის სულიერი სამყაროს რაციონალური და ემოციურ-ნებითი სფერო, ჩვეულებრივ, განუყოფლად უკავშირდება მის სოციალურ და იდეოლოგიურად ზნეობრივ წარმოდგენებს. ისინი მოიცავს შემდეგ ადამიანურ თვისებებს: სოციალური სამართლიანობის გრძობა, საკაცობრიო და ეროვნულ კულტურასთან ერთიანობის გრძობა, თანამედროვე ცივილიზაციის ნორმებისა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა მიღება. ცხოვრება სვინდისის კარნახით და არა გარეშე იმპერატივებით, მტრობისა და მიუტევებლობის არ არსებობა ნაციონალურ ურთიერთობებში, მიმტევებლობა “სხვაგვარად მოაზროვნეთა” მიმართ, შოვინიზმზე უარის თქმა და ა.შ.

ამგვარად, ზოგადი და ინდივიდუალური პროფილაქტიკის საკითხების კომპლექსური გადაწყვეტის საფუძველზე, შესაძლო

ზღედა ტერორისტულ დანაშაულობათა თავიდან აცილება. მხედველობაში გვაქვს მუდმივი მჭიდრო ურთიერთქმედება სხვადასხვა სამართლებრივი და სოციალურ-ფსიქოლოგიური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სისტემები, რომელთა ძირითადი ამოცანა იქნება ცალკეული კონფლიქტური სიტუაციების, მათი ტერორისტულ ქმედებად გარდაქმნის თავიდან აცილება.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იძენს შემდეგი სახის პროფილაქტიკური მუშაობა: იმ კონფლიქტური სიტუაციების დროული კორექცია, რომელნიც წარმოადგენენ ტერორისტული საქმიანობის განვითარების ნიადაგს; ტერორისტული აქტის ჩადენისათვის ხელშემწყობი გარემოებების გამოვლენა და თავიდან აცილება, იმ პირთა მიმართ, ვინც შესაძლოა დაადგეს ტერორიზმის გზას, აღზრდის განსაკუთრებული ღონისძიებების გამოყენება და ა.შ.

ამ პრობლემის გადაწყვეტა ქმნის შესაძლებლობას ტერორისტული საქმიანობის თავიდან აცილების, მისი აღკვეთისა და ტერორისტული ქმედებების გამოვლენისათვის, ტერორიზმის ანტი საზოგადოებრივი არსებობის შეწყვეტისათვის.

✓

David Zurabashvili

M.D., Dr. of Medical Science

**Terrorism -
A Mode of Thinking**

Terrorism: A Mode of Thinking

The question of united fight against terrorism was raised at the World Assembly of Consuls in Mexico at the end of 2001.

We did not aim at proposing any power or administrative-enforcement recommendations. The question was how to smooth the immense disproportions of contradiction existing at present between separate spheres of world civilization (culture, way of life, customs, education, world outlook, scientific-technical achievements, etc). We believe, these contradictions constitute an important source of the rise of terrorism.

Terrorism is not only an action ending in an act of violence. It is primarily a mode of thinking leading to an activity of antisocial character.

The formation of views, convictions and personality positions begins in childhood. This period must not be allowed to slip by unattended.

We shall venture to slightly alter the words of the great American writer Ernest Hemingway: For whom does the bell of terrorism toll? It tolls for our children”

Literary data on the discussion of problems connected with the emergence of separate terroristically-minded persons, their subsequent association into small uncoordinated groups that are capable of subsequently forming into large-scale terrorist organizations, are largely of fragmentary nature, limiting themselves in the main to stating the terrorist act itself or the historical background of formation of terrorist organizations.

Unfortunately most of the specialists working in this field fail to give due attention to the following major point: each form of antisocial behaviour, or each type of antisocial terrorist activity, has its “critical” periods of origin, definite rates of

development and periods of formation, as well as periods of restructuring and complication. The foregoing constitutes in sum the basic factor of “development of terrorist activity”

In order to understand the causes of the origin and development of terrorism and the current drastic increase in the number of terrorist acts one needs a multi-plane systems approach, with application of socio-psychological and socio-personality criteria of assessment of forms of individual and group (mass) aggressive antisocial behaviour.

Only an integrated analysis permits identification of separate, clearly defined causes and stages of development of terrorist activity, determination of the anomalously aggressive form of personal response, the character of dependence between the actual social situation and its aggressively-emotional assessment.

In this aspect the following social-psychological preconditions should be taken into account: need, motivation, goal, intentions and set. A definite combination of these preconditions leads to a wrong or inadequate carrying out of one or another behavioural act, on the one hand, and to an anomalous satisfaction (mental gratification) of the actor or a group of actors, on the other. The final stage of any action is that of removal of implemented needs.

Against the background of a concrete social situation, moral, volitional, emotional and intellectual character traits and interests, as well as actions corresponding to them, may be manifested under definite circumstances in a perverted cycle in the form of affective reactions – right up to terrorist acts.

This is facilitated by social isolation, loss of affiliative links, lowering of social adjustment, and so on, as well as by the environment – the vector of its social orientation. As a result of this – more precisely, as a result of an anomalous combination of the old level of need with the actual new situation – in certain

cases there emerges an additional behavioural set, the thrust of the latter determining the seeming expediency of actions. Moral, spiritual, material and social culture is invariably adopted at the volitional level of behaviour.

Thus, a sum of many factors forms the basis of the emergence of terrorist acts and development of anomalous personality response.

Formation of the Terrorist's Personality

Notwithstanding the fact that terrorist acts are exceptionally diverse both in terms of their social danger and psychological, social and juridical aspects, they nevertheless have common features, lying in the origin, causes and historical basis of the development of terrorism. This enables one to define and analyze the specific causes and conditions of terrorism.

As is known, legal norms establish men's social interests, reflecting their economic, political and other needs. Hence the social nature of any terrorist acts is primarily manifested in their consequences – in the loss these acts inflict upon the interests of society. This loss cannot be viewed only as economic damage caused to a concrete group of persons or to a single person. They inflict an enormous moral loss on society as a whole.

A terrorist act is engendered by a set of objective and subjective conditions that are in an intricate interaction. In various countries, under different specific historical conditions, the content and interaction of these conditions vary.

In studying the mechanisms of behaviour special attention is given to questions of subjective nature – primarily to interests, needs, motives, objectives and aspirations. This is due to the fact that objective social processes are manifested only through man's consciousness and behaviour.

Entering into interrelationship with his milieu, man adopts norms of behaviour, moral, legal concepts and ideas, as well as social and cultural values. As a result new needs, interests and aspirations emerge.

The biological and social process of the formation of personality facilitates his maximum adjustment to the micro and macro environments. This generally implies not passive

dependence on the environment but its active mastery and use of one's capacities for the benefit of personality and society.

Notwithstanding the considerable internal discrepancy in the ways of formation of personality, in the case of positive development, any elements of discoordination and contradiction between personality and environment (being linked to the human being's independence or autonomy) gradually diminish and disappear, ultimately assuming a form that does not prevent man's full-blooded activity, i.e. his inter-relationship with society.

In the case of a negative formation of personality, contradictions arise between the characteristics of personality and the demands of the environment. In the first place contradictions refer to such categories as need and interests, norms of morality, notions of social relations, and so on. As a result of this the accepted stereotypes of behaviour are breached.

The principal source of the moral shaping of personality is the person himself, the minor social groups to which he belongs, as well as the political, cultural, ideological and educational impact of the mass media or other public channels. There is not a single aspect of the life of human community that can be neutral to personality formation.

In the case of an unfavorable formation of personality the moral values, legal notions, the system of needs and basic interests are exposed to the accepted social norms, ideas and values. As a result the personality acquires an antisocial orientation.

The fact is also important that personality is formed not only under the action of society as a whole but in small social groups as well in which the person happens to be. In terms of social consciousness, behaviour, system of values, views and traditions small social groups occupy an intermediate position between the individual and society, forming as it were a

transitional link between them. As is known, social contradictions, peculiar to society, are frequently realized through small groups. Demographic changes also affect small groups, being not only of personal but of social character as well.

The relative independence of small social groups leads to the gradual formation in them of their own norms of behaviour and the establishment of their own values that often do not conform to the norms and values accepted by society and sanctioned by the state.

On the one hand, the cause of terrorist acts should be considered at the level of integral society, and on the other, it should be borne in mind that this cause might be a vestige of individualistic psychology developed against the background of disproportion and contradiction between various social formations. Thus, terrorist acts are in the first place the result of deformation of some links of an individual process of motivation and decision-making (needs, interests, goals, means of attaining them and so on). An inadequate relationship and interaction between the external factors of objective reality and the internal psychological processes determining the decision to commit a crime and controlling and directing its execution constitute the psychological basis of a terrorist act.

Therefore, in assessing the individual causes of a terrorist act, in many cases it is preferable to use a broader concept of criminal behaviour, in addition to the criminal legal concept of crime.

Criminal behaviour is a peculiar process unfolding both in space and in time. It involves not only actions altering the outer environment but also psychological phenomena and processes preceding these actions, determining the genesis of the illegal act.

The mechanism of a terrorist act is mainly comprised of the following three principal parts: motivation, planning the

criminal act and its execution, entailing socially hazardous consequences.

Most important from the psychopathological viewpoint is the first link, involving the terrorist's demands, his plans and interests. Interacting with the system of value orientations, this link engenders the motive of terrorist activity. Hence the process of the formation of the terrorist's personality should not be the subject of study only of jurisprudence, law or criminology. It should be studied also by specialists working in the field of pathopsychology, pathosociology and other sciences of human personality.

The process of a terrorist act involves various emotional degrees reflecting the will, consciousness and emotions directed at the attainment of antisocial objectives, the content of the latter being opposed to the laws adopted in modern society. Initially interests of questionable moral orientation develop. Subsequently they lead to the emergence of obviously antisocial desires which - following psychological fixation - are implemented in the form of a criminal act.

Thus, a multi-plane analysis of the specificities of terrorist behaviour should be carried out along the following lines.

From the psychological point of view the personal characteristics of the terrorist should be unfolded, as well as those sides of the external social milieu that give rise to the cause and conditions contributing to the commitment of a terrorist act.

From the practical point of view measures have to be developed that are capable of averting the crime and altering the trend of the terrorist's personality. It should be remembered that antisocial behaviour takes shape on the basis of a gradual development of contradictions and conflicts at different links of the psychological process.

Contradictions in the system of morality, legal and other social values may become manifest in general developments. They may prove characteristic of a single person or extend to definite strata of society (groups of persons). They are facilitated by bad traditions and habits, survivals of local customs, and so on. In each individual case socio-psychological contradictions arise between habits and traditions, on the one hand, and the moral norms of civilization, on the other.

One should not be oblivious of the permanently existing, exceptionally important contradiction between personality and concrete reality, including that between the imagined and the real. An anomalous, hypertrophied form of the above-said is seen clearly in terrorist acts in which divorce from objective demands of life come to the fore.

An analysis of the psychological mechanisms underlying terrorist acts provides a real opportunity to avert tragic occurrences.

Any terrorist act usually begins not with severe conflicts and contradictions but as a result of insignificant differences in the sphere of positions, norms of behaviour, needs capacities, etc. In many cases there exists a possibility to identify, reduce and remove these differences in time. If this is not feasible, at least the development of these differences or their turning into acute unresolvable contradictions that lead to criminal terrorist action may be prevented.

Phenomena of the environment are usually assessed on the basis of the following personality factors: need, interests, value orientations, social sets, as well as other elements of the person's psychological structure.

Motivation remains one of the key problems in the socio-psychological characterization of personality activity. In the aspect of the study of the psychological causes of terrorism the concept of motivation would seem to have the following sense:

in the first place this concept may be used to denote the process of the formation and emergence of the motive of the terrorist act, and on the other hand, to determine the totality of drives (need, interests, habits, etc) that form the basis of the terrorist act.

Such an approach enables, in my view, the identification of the social determinateness of motivation and its role in the mechanism of terrorist behaviour.

In the mechanism of a terrorist act the process of motivation simultaneously performs reflective and promotive-regulating functions. The psychologically activating role of motivation is well known. Its presence and social orientation are a sine qua non for the psychological preparation for terrorist action or abstaining from it. The motive stimulates the volitional energy in complex types of mental activity (thinking, search, creative, etc).

The reflective function plays an important role in the person's value orientation, his social need and in the transformation of outer determinants into an immediate motive.

A volitional decision is a social act of behaviour. Such a decision differs from reflectory, impulsive and instinctive actions by its content and structure. Any volitional act has its semantic content that determines the object and motive of action. The carrying out of a volitional act is preceded by an inner process of motivation. At the same time, an urge, before it is implemented in action, is perceived as a motive for action, while carrying out a volitional act is regulated in conformity with the objective.

Thus, a terrorist act should be considered in the aspect of a volitional decision with motivational mechanisms, while terrorist activity is a sum of complex volitional acts. It is formed of a number of actions or episodes.

The objective is the psychological form of implementation of a motive. It is an important and coveted result towards which the terrorist strives during the criminal action. It is also an inner model of the desired outcome.

The image of the objective performs the following functions: the function of previsioning and that of bearer of the programme of action. The image of the objective regulates the terrorist's behaviour on the basis of juxtaposing the objective with the arriving information. A subjective image of an objective is present in any volitional behavioural act. Turning the subjective goal into an attained result is to turn elements of consciousness into objective reality. Therefore psychologically the motive of terrorist behaviour and the object of a terrorist behaviour are independent concepts.

A motive leads to setting a goal, yet it (the motive) is not a goal independently. It merely lies ahead of the behavioural act. Depending on the size of the aim set, the effect attained may fully correspond to the expected results. In case of intervention of separate forces and circumstances, independent of the terrorist's will, the outcome may not coincide with the goal set. Thus, the goal will not be realized to the end and the result will not correspond to the goal set.

Unraveling the motive of criminal behaviour is the subject of study of many specialists working in the field of social pathopsychology. Diverse psychological conceptions and theories are advanced, schools are created, in which the motive of a crime is defined variously. The majority of specialists support the concept of the significance of the act capable of satisfying the person's need. Each person possesses a wide range of motives, this determining the multifacetedness and diversity of one's motivation of action. In a concrete situation the person gives preference to a definite motive, this latter becoming the

leading one in his behaviour. The leading motive puts aside or subordinates to itself the other desires.

The concept of need holds an important place in the motivation of a terrorist act. Need is a socio-psychological category. It takes shape in the process of the socialization of a person – in course of his life activity. Social factors determine the character of interaction of the person with his environment, his place, status and role in the system of social relations. These factors determine also the direction of each concrete need and the real opportunities of satisfying them. The social conditions form a system of needs, which finds an outlet through concrete forms of life activity.

The needs of a modern person are highly varied. Proceeding from the biosocial nature of man, need may exist in the following forms: socialized need and social need. Both these forms emerge and are satisfied in the process of life activity.

A complex analysis of the significance of both forms of need in the process of motivation of a terrorist act will allow to unravel its structure and content, to identify the social primary causes and to explain the mechanisms of the formation of the motive of terrorist activity. As a rule, an anomalous need engenders criminal behaviour – not directly but through a number of intermediate links, the latter involving criminal interests, views, convictions and set.

The personality's moral set emerges as one of the important motives of terrorist actions. Being part of social set, it is also an element of the emotional sphere.

Thus, it may be safely assumed that terrorist behaviour is essentially caused not by isolated motives but by the socio-psychological quality of the terrorist's personality as a whole, by his world view. Value orientations are closely connected with the person's outlook, i.e. with the system of his views and convictions. Man's world outlook may determine his basic

